სახალხო გაზეთი

№ 275. პარასკევი, 8 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 275

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

შემდეგი (სააღდგომო) ნომერი კვირას გამოვა.

კანტორა აცხადებს რომ ხელის-მომწერთ, რომელთაც ხელის-მოწერის ფული 1 იანვრიდგან მხოლოდ 3 მან. აქვთ შემოტანილი, **გაზეთის გზავნა მოესპობათ 20 აპრილიდგან.**

ქართული თეატრი

შაბათს, 16 აპრილს,

ი. გრიშაშვილი

ქართველ მწერალთა **დახმარებით და ბარბარე რონელისა და ოლღა ლეჟავას მონაწილეობით**
დასდგამს ქართულ წარმოდგენას:
წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა:

„ღალატი"

ისტ. ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გრ. ყიფშიძისა.
მონაწილეობას მიიღებენ:

ბ. რონელი—ზეინაბი.
ნ. კონსტანტი—რუქაია.
ოლ. ლეჟავა—გაიანე.
განდეგილი—ისახარი.
ბ. კორინთელი—მაიკო.
ალ. ყანჩელი—სოლეიმან-ხანი.
ი. მაჭავარიანი—ოთარ-ბეგი.
გრ. ყიფშიძე—ანანია გლახა.
ი. ელეფთერიძე—დათო.
სვ. ყიფიანი—ერეკლე.
დ. ნახუცრიშვილი—საბა-ბერი.
სოფ. მგალობლიშვილი—ბესო.
დ. დუმბაძე—ყარა-უსუფი.
კ. თუმანიშვილი—ალი-რაზაკი.

ადგილ. ფასი საბენეფისოა. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. **დასაწყ. საღ. 8 ს.**
მთავარი რეჟისორი **ვ. გუნია.** სამხატვრო ნაწილის გამგე **ი. ნიკოლაძე.**
ადმინისტრატორი **პართენ გოთუა.** (7—1218—2)

ქართული თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი

იაფ ფასიანი სახალხო წარმოდგენები

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ორშაბათს, 11 აპრილს,
ალ. ყაზბეგის ცნობილი პიესა
ქეთევან წამებული
(კონსტანტინე ბატონიშვილი)
ისტორიული დრ. 5 მოქ. და 7 სურ.

სამშაბათს, 12 აპრილს
პირ-ლად ახალი პიესა გ. ფოცხოველისა
ცხოვრების გარემო
დრამა 4 მოქმედ.
ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ოთხშაბათს, 13 აპრილს
ე. ნინოშვილის ცნობილ მოთხრობიდან გადმოკეთებული პიესა

ქრისტინე | **ორშაბათი**
დრ. 4 მოქმ. ირეთელისა. | ვოდ. 1 მოქ. ირეთელისა.
მონაწილეობას იღებს მთელი დასი. | დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადგილების ფასები ერთი სამად დაკლებულია.
რეჟისორი ვ. გუნია. (2—217—1)

სახალხო სახლი

ორშაბათს, 11 აპრილს, სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ ეფემია მესხის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქნება:

ნიშანი ყოფა-ქცევაში

დრამა 4 მოქ. თარგ. მალაქიაშვილისა.
ბილეთების ფასი 50 კ.-დან 5 კ.-მდე. რეჟისორი **ბ. მდივანი.**
(2—1151—1)

ამ წლის 26 მარტიდან გამოდის ქ. ქუთაისში ყოველ-დღიური ქართული გაზეთი

„კოლხიდა"

რედაქციის ადრესი: ალექსანდრეს ქუჩა, თევდორაძის სახლი. ხელ-მოსაწერი ფული უნდა გამოიგზავნოს ქ. ქუთაისს რედაქციის სახელზე. გაზეთის ფასი პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე 5 მან. და 10 შაური. თვიური—ოთხი აბაზი. თითო ნომერი ერთი შაური. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქ. 15 კ., უკანასკნელზე—10 კ. სამგლოვიარო განცხადება 3 მ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება გაზ. „კოლხიდა"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-დე.
(10—2) რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—21)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.
ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.
სამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

თრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. **დროებით წასულია.**

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

სობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **წამლობა „606"-ით** (Ehrlich-hata) აქვს აგრედვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 60 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შემდგომ. საფასურით. (წ.—1089—138)

გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის
თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ხელის-მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა"-ს („Новая Рѣчь") წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. **ქუთაისში:** მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (3—8)

კვირას, 17 აპრილს, დილის 11 საათზე ტფილისის საურთიერთო ნდობის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია **წლიური კრება**

ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრთა

განსახილველად: ა) 1909 და 1910 წლების ანგარიშისა, ბ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა, გ) შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვისა 1911 წლისათვის და დ) ასარჩევად საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და საზოგადოების ახალის წევრებისა. (4—1220—2)

ცნობილი პირველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

ს. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბი, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—26)

გოლოვინის პროსპექტი

ცირკი—სპორტი

11 აპრილს, 1911 წ. გაიხსნება საერთაშორისო ჩემპიონატი ფრანგულის

ჭიდაობისა

ატლეტიკის პროფ. ი. ვ. ლებედევის ხელმძღვანელობით.
ყველა ჩამოსულ ფალავანთა ზეიმით გამოსვლა.
—დღეს სამი წყვილი იჭიდავებს—
ამის გარდა სენსაციურ ნომრების გამოჩენილი პროგრამა. ურნიის მეფე-ქალი—მამაფოსა. ინგლის-ინდოელ არტის მონურ ზონტის გამოსვლა. გამოუცნობელი ქალი ბორკილებით. გამოჩენილი ებრაელი ქალი მისგინჩესტერი. აუარებელი ახალი რამ.
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
ჭიდაობის დასაწყისი დაახლოვებით საღამოს 11 საათზე. ბილეთები ცირკის სალაროში იყიდება.
(2—1216—1) დირექცია.

ბალი ედემი

მაქვს პატივი, ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ **ბალ ედემში** ყოველ-ნაირი შენობები: კაბინეტები და ფანჩატურები (ბესედკები) ხელ-ახლად შეკეთებულია; გაკეთებულია **ახალი დიდი დარბაზი სცენით, მუსიკისათვის,** რომლისათვისაც, **გერმანიიდან მოწვეულია ჯერ რუსეთში უნახავი**

გერმანულ ქალ-ვაჟთა ორკესტრი (მთელი ოჯახობით),

რომელთა მონაწილენიც დამღერიან და უკრავენ როგორც სიმებიანისა, აგრედვე ჩასაბერ („დუხოვოი"-ს) საკრავებზე **ვ. ავგუსტოვის** მეთაურობით.

მუსიკა დაუკრავს 11 აპრილიდან ყოველ-დღე 2 საათიდან საღამოს 6 საათამდე და ღამის 10 საათ.-დან 2 საათამდე.

ბაღში არის პირველ-ხარისხოვანი ბუფეტი, ყოველ-ნაირ ადგილობრივი და საზღვარ-გარეთულ სასმელებით, აზიურ-ევროპიული სამზარეულოთი, სადაც ყოველ წამს მოიპოვება ცოცხალი თევზი.

ვიკვეთავთ აგრედვე სადილებს და ვახშმებს.

(5—1223—1) „ედემი"-ს ბაღის პატრონი კ. ი. ბაქრაძე.

გამოვიდა და იყიდება საყმაწვილო სურათებიანი მოთხრობები ივანე ელიაშვილისა „სამშობლო ბუნების სარკე"
ტფილისში იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში მ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. ფასი 30 კაპ. (თვ.—1224—1)

ვაგზლის კერძო

სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ზ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

ვ. ვ. სობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით.
(წლ.—1090—34)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—81)

ექიმი ქუთაისში, **ს. ი. ვოლოხი**

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლის ჰატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და საყმაწვილოსი სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შესაზავებში სტერილიზაცია გაკეთებული პრობირკები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (50—1078—34)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონსე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

ნოვიცვი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალმიკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებიო: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოსელიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ. დღე.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-სს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (100—ნ.—77)

ექიმი ე. ი. მინასიანცი.

შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.
ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—41)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. პიროჩნის ქ. № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ექიმი შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—351

ექიმი ჯაფარიძე
ქ. ქუთაისში

არჩენს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—43

ელექტრონისა და რენტგენის
სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—92)

შპალიერი

ძმ. ტარნოპოლთა
ქარხნისა
ტფილისის განყოფილება

იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, სახ. N 21, არტისტიულ საზოგ., ტელეფონი N 355. საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც **ქარხნის ფასებში იყიდება,** 8 კაპ. 6 მ.-დე თოფი. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა დიდებულ ქალაქებში. შპალიერის ნიმუშები იგზავნება უფასოდ. (50—1120—11)

სტუდენტი-ფილოლოგი

ამზადებს საშუალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის, მასწავლებლობაზე, „ვოლნოოპრედელიაუშჩობაზე," და საიუნკრო სასწავლებლებში, აგრედვე უსწორებს გაკვეთილებს ხელმისაწვდომ ფასებში. ცნობებისთვის მიმართეთ „სახ. გაზ." რედაქციაში. (5—1)

ტფილისი, 8 აპრილი

ბაქოს საქალაქო არჩევნები.

ბაქოს საქალაქო არჩევნები არა ჩვეულებრივ პირობებში სწარმოებს. მოსალოდნელი იყო, რომ ეს არჩევნები წესიერად არ ჩაივლიდა; ეს სხვათა შორის აქიდანაც სჩანს, რომ ბაქოს პოლიციამ გამოაცხადა, არჩევნებზე იარაღით მისვლა აკრძალულია. შორით მაყურებლისთვის გასაოცრად დარჩებოდა ასეთი განკარგულება. ქალაქის არჩევნებზე მცხოვრებლები, რასაკვირველია, უიარაღოთ უნდა მოვიდნენ. ქალაქის არჩევნები, ეს ისეთი ასპარეზია, სადაც ბრძოლა სწარმოებს, მაგრამ ბრძოლა კულტურული, ბრძოლა იდეური. შიში უსაფუძვლო გამოდგა. არჩევნებმა ბაქოში წესიერად ჩაიარა, ისე წესიერად, როგორც არც ერთს არჩევნებს არ ჩაუვლია. მიუხედავად ამისა, მაინც მკითხველს, ბაქოს არჩევნების ამბების წაკითხვის დროს, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ბაქოში სასტიკი ბრძოლა ყოფილა, ბრძოლა საარჩევნო კენჭებით. ფინალი ამ ბრძოლისა ის არის, რომ მაჰმადიანებმა თითქმის ყველა სომხები გაშავეს, ისეთებიც კი, რომელთაც დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვით ქალაქის საქმეებში. მაგრამ საქმე ამით არა თავდება. მაჰმადიანებმა სომხები გაშავეს, მაგრამ ვერც საბჭოს სრული შედგენილობა აირჩიეს, რადგანაც ხმოსნობისთვის გამოსადეგი კანდიდატები თავის წრეში ვერ გამოსძებნეს. დამატებითი არჩევნები, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს, სანუგეშოს არაფერს იძლევა, რადგანაც ერთხელ გაშავებული კანდიდატები სომხებისა, კანონის ძალით, მეორედ ყუთს ვეღარ დაიდგამენ. როგორ გადასწყდება ეს საკითხი, ამას მომავალი გვიჩვენებს. დღეს კი არ შეგვიძლიან ორიოდე მოსაზრება არ გამოვსთქვათ იმის შესახებ, რაც მოხდა.

ცხადია, ბაქოში არჩევნები ნაციონალური ღერძზე ტრიალებდა. მაჰმადიანებმა გაშავეს სომხები. მაჰმადიანები იმასაც კი არ დაერიდნენ, რომ სომხებს ქალაქის საქმეებისთვის გამოსადეგი კანდიდატები ბლომათ ჰყავდათ. გამეორდა ის, რაც პატარა მასშტაბით თელავში მოხდა. თელავშიაც გამარჯვებულმა სომხებმა აირჩიეს საქმისათვის გამოუსადეგარი სომხები მხოლოდ

იმიტომ, რომ ისინი სომხები იყვნენ. დაახლოვებით ესევე ხდება ტფილისშიაც, საიდანაც სომხებმა, რომელთა ხელშიაც დღეს ძალა იმყოფება, სრულიად განდევნეს ქალაქის თვითმმართველობის საქმეებიდან სხვა ეროვნებანი.

ჩვენს წინ იშლება დამახასიათებელი მოვლენა თანამედროვე ცხოვრებისა: ქალაქის თვით-მმართველობაში ის ეროვნება, რომელიც ძლიერია, სდევნის სუსტსა. თელავში სომხებმა დასჯაბნეს ქართველები და არაფერს მოერიდნენ, ოღონდ კი მხოლოდ სომხები გაეყვანათ. ასევე მოექცნენ სომხებს ბაქოში, სადაც ძალა მაჰმადიანების ხელშია.

როგორც ხედავთ, თითქმის ყველა ქალაქებში სწარმოებს ნაციონალური ბრძოლა, რომელიც სხვა სახით იჩენს ხოლმე თავსა. ეს ბრძოლა ძალიან ხშირად მახინჯ ფორმებს იღებს. მახინჯი ფორმაა ბრძოლისა, როდესაც ქალაქის თვით-მმართველობის ცხოვრებიდან გარიყული რჩება ესა თუ ის ეროვნება მარტო იმიტომ, რომ იგი უმცირესობას შეადგენს. სიმახინჯეა ისიც, რომ ქალაქის ხმოსნებად სრულიად მოუმზადებელ პირებს ირჩევენ მარტო იმიტომ, რომ ისინი ამა თუ იმ ეროვნებას ეკუთვნიან. ასეთი უკიდურესობა დღემდის მხოლოდ სომხებს ეტყობოდათ. ქალაქის თვით-მმართველობაში გაბატონებული სომხის ბურჟუაზია კატეგორიულად ეურჩებოდა სხვა ეროვნებათ გამოსვლას ცხოვრების სარბიელზე. როდესაც ქართველები აცხადებდნენ, ქალაქის თვითმმართველობაში ქართველებსაც აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ, როგორც ქალაქის მცხოვრებლებმაო, მათ ნაციონალისტებად ნათლავდნენ. ასეთი ნაციონალისტური უკიდურესობა დამახასიათებელი თვისებაა იმ სომხებისა, რომელნიც ქალაქის თვით-მმართველობაში გაბატონებულან. ასეთივე უკიდურესობამ იჩინა თავი თელავშიაც. დღეს ჩვენა ვხედავთ, რომ ასეთს უკიდურესობას იჩენენ ბაქოს მაჰმადიანებიც.

ვერავინ დაგვწამებს, თითქოს ჩვენ უყურადღებოდა ვსტოვებდეთ ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ არ შეგვიძლიან ხაზ-გასმით არ აღვნიშნოთ, რომ ასეთი ნაციონალური უკიდურესობა ეროვნულ საკითხის გადაწყვეტად ვერ ჩაითვლება. ეს უკიდურესობა იქამდის მიგვიყვანს, რომ ეროვნებათა მეზობლური არსებობა ყოვლად შეუძლებელი გახდება; ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავდით ხოლმე და შემდეგშიაც აღვნიშნავთ, რომ სომხების განსაკუთრებულ ნაციონალურ პოლიტიკას დისჰარმონია შეაქვს ეროვნებათა ურთიერთობაში. ამასვე ვიტყვით მაჰმადიანებზედაც, თუ მათ განაგრძეს სიარული იმ გზით, რა გზითაც დღეს მიდიან ბაქოში..

ქართული პრესა

გაზეთ „ახალ საქმე"-ში ბ-ნი წინწკალი ახასიათებს რუსეთის მთავრობის დღევანდელ მიმართულებას და მას „მებრძოლ ნაციონალიზმს" უწოდებს.

„სტოლიპინი რაინდულათ აცხადებს, სწერს გაზეთი,—რომ ის დიახაც აფასებს პოლონელთა მდიდარ კულტურას, რომელსაც თვალსაჩინო წვლილი შეაქვს კაცობრიობის სალაროში, მაგრამ იმავე დროს მას არ ავიწყდება, რომ იგი ებრძვის მპყრობელ ერის ანუ რუსთა კულტურას, რომელიც ასე ახლოს სწვდება მის მოსიყვარულე გულს, რომელიც ასე ძვირფასია მისთვის... პრემიერი მეტსაც გვეუბნება: მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოების პირველი და უკანასკნელი მზრუნველობა იმაში უნდა გამოიხატებოდეს, რომ თავგამოდებით გამოესარჩლონ ყველაფერს რუსულს და სამაგიეროთ დასთრგუნონ ყველაფერი არა-რუსულიო. ამ გვარათ, რუსეთის, მრავალ-ერიან სახელმწიფოში აფრიალებულია მარტო ერთი ერის დროშა; მთავრობა გულახდილათ გვიცხადებს, რომ ის მოქმედობს ან უკეთ მძვინვარებს მარტო ერთი ერის სახელით, დანარჩენი ერები კი იმიტომ გაჩენილან, რომ ფეხ-ქვეშ ითელებოდეს მათი არსებითი ინტერესები, მათი წმინდათა წმინდა."

არც სახელმწიფო სათათბირო ყოფილა, გაზეთის აზრით, უკეთესი. „მისი დანიშნულება იმ თავითვე ყველას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, თითქოს მას უნდა გაეფართოვებინა ცალკე პირის და მთელი ეროვნებათა უფლებანი, ნამდვილად კი სულ წინააღმდეგი მოხდა.

„ჯერ კიდევ ნორჩმა პარლამენტმა ფეხ ქვეშ გათელა ფინლანდიის უძველეს პარლამენტის უფლებანი და მით სახტად დასტოვა მთელი განათლებული მსოფლიო. პოლონელებზე გალაშქრება მეორე მისი საგმირო საქმე იყო, და ჯერ კიდევ იქნება,—ხოლმშინა ჩქარა მორიგ კითხვათ იქცევა, მე არას ვიტყვი სწავლა-განათლების ნაციონალისტურ ბურუსში გახვევაზე, საახალშენო პოლიტიკანობაზე და სხ. კავკასიის ერებიც განსაკუთრებულ წყალობას უნდა გამოველოდეთ მისგან."

მაგრამ მებრძოლი ნაციონალიზმი მარტო რეაქციონერ კონსერვატორთა ლოზუნგი არა ყოფილა. მასვე აღიარებენ ნაციონალ-ლიბერალებიც. ქალაქის წვრილი ბურჟუაზია სუსტია, და ამიტომ ის, რაღაც უმნიშვნელოდ უნდა ჩაითვალოს. „გლეხობაც არც როდის არ ყოფილა შიდა-რუსეთში რაიმე გარკვეულ პოლიტიკურ მისწრაფებათა მატარებელი... პროლეტარიატი რაოდენობით ცოტაა." ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება მსხვილ ბურჟუაზიას, რომელიც სათანადო იდეოლოგიასაც იჩენს. მაგალითად ბ-ნ. წინწკალს პ. სტრუვე მოჰყავს. ეს გარემოება კი ჩამაფიქრებელია.

„მდგომარეობა უეჭველათ დამაფიქრებელია ჩვენისთანა პატარა ერისათვის, კერძოთ, და ყველა არა-რუსთათვის, საზოგადოთ. როგორც დავინახეთ, რუსეთის დღევანდელი კონსტიტუცია გაცილებით უფრო საშიში მტერია ჩაგრულ ერებისა, ვინემ ძველი რეჟიმი. ვინაიდან ფართე დემოკრატია ჯერ კიდევ უძლურია რუსეთში, ამიტომ მსხვილი ბურჟუაზიის როლი ერთი ორათ თვალსაჩინოა, ეს კი ზოგი ღორ მუცელობით და ზოგიც სილაჩრით თავის პირველ დანიშნულებათ არა-რუსთა უფლებების შეზღუდვას და მთლად გაცამტვერებას სახავს. მებრძოლი ნაციონალიზმიც უფრო ამიტომ ქცეულა ერთი დიდ პოლიტიკურ ფაქტორათ რუსეთში. საპიროა ანგარიში გაეწიოს მას, ამ მრავალ-თავიან გველეშაპს."

ასე ათავებს თავის წერილს ბ-ნი წინწკალი.

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

დიდუბის ეკლესიის მდგომარეობის შესახებ გაზეთმა „ზაკავკ." გამოსთქვა თავისი აზრი. გაზეთს ჯერ ქართულ გაზეთებში დაბეჭდილი წერილები მოჰყავს და შემდეგ დასძენს:

„აღვნიშნავთ რა ერთ სულოვნებას ქართულ პრესისას, რომელიც სხვა და სხვა მიმართულებათა აზრს გამოჰხატავს, ჩვენ მაინც არ შეგვიძლიან დავეთანხმოთ იმ დასკვნას, თითქოს აქ პოლიტიკანობა და ტენდენციოზური მისწრაფებანი იყოს. ჩვენ სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, თუ რუსებსა და ქართველებსა სურთ მახლობელ ეკლესიებში თავიანთ სამშობლო ენაზე მოისმინონ წირვა-ლოცვა. ამიტომ ჩვენ იჭვებს და ურთიერთ-ბრალდებებს გვერდს აუხვევთ და გამოვსთქვამთ იმედს, რომ საკითხი დიდუბის ეკლესიისა სამართლიანად გადასწყდება. ქართველ საზოგადოებასაც ვურჩევთ დამშვიდებულის გულით ელოდოს საკითხის გადაწყვეტას".

ჩვენთვისაც ძალიან სასიამოვნო იქნებოდა, რომ ვსცდებოდეთ, რომ დიდუბის ეკლესიის საკითხში სასულიერო მთავრობა პოლიტიკანობას არ ეწეოდეს, მაგრამ, ვაი, რომ ეს ასე არ არის! არ ვიცით, ყოვლად სამღვდელო ინოკენტი თითონ როგორ უცქერის ამ საკითხს, იქნება იგი სრულიადაც არ არის გამსჭვალული პოლიტიკანობით, მაგრამ დღემდის კი ყველა იმით, რაც ქართულ გაზეთებში გამოქვეყნდა, მხოლოდ იმის დამტკიცება შეიძლება, რომ ვიღაც პოლიტიკანის ხელი ამოძრავებს ამ საქმეს და დიდუბის ეკლესიის საკითხს ისეთს ნიადაგზე აყენებს, რომელიც ერთ-მორწმუნე ერთა შორის შუღლსა სთესავს და არა მეგობრობას. „ზაკავკ." გვირჩევს, თქვენც ჩვენსავით იმედიანად იყავითო. მას ალბად საბუთი აქვს, რომ ამას გვირჩევს, ალბად გაუგია საიდანმე, რომ უმაღლესი სასულიერო მთავრობა ამ პოლიტიკანობას არ თანაუგრძნობს. თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენც არაფერი გვეთქმის. მაგრამ, თუ „ზაკავ." დაუსაბუთებლად ამბობს ამას, მაშინ ჩვენ თამამად შეგვიძლიან უპასუხოთ მას, რომ არავითარი საბუთი არა აქვს ოპტიმისტობისთვის....

⁂

ალბანეთის აჯანყება დღითი დღე ძლიერდება. ამაყი და ბრძოლაში ნაწრთობი ალბანელნი თავგანწირვით ეკვეთებიან ოსმალეთის გაწვრთნილ ლაშქარს. ლელოს კაიტანს ვაჟკაცი, მაგრამ მცირე რიცხოვანი ალბანეთი, თუ ოსმალეთის ძლიერი ლაშქარი ქედს მოახრევინებს? ამ საკითხზე „რუსკოე ვედომოსტი" ასეთს პასუხს იძლევა:

„ბოლოს და ბოლოს ოსმალეთი დასთრგუნავს და დაამშვიდებს ალბანეთსა. მაგრამ ეს ალბანეთის საკითხს საბოლოოდ ვერ გადასწყვეტს. ალბანეთის დამშვიდება მაშინ მოხდება, თუ მას ოსმალეთმა ფართე ავტონომია მიანიჭა. მაგრამ ოსმალეთის ახალი მთავრობა უფრო ცენტრალისტურ მართვა-გამგეობისკენ იხრება, ქვეშევრდომთა ეროვნულ მრავალფეროვნებას ანგარიშს არ უწევს და ესწრაფის „ოტომანის მთლიანი და განუყოფელი სამეფო შექმნას, რომელშიაც მოექცევიან ოსმალეთის ყველა მკვიდრნი ეროვნება-სარწმუნოების განურჩევლად...

ამისათვის, ოსმალეთში კონსტიტუციის შემოღებიდანვე, ალბანელნი ისეთს ორგანიზაციებს მიემხრნენ, რომელნიც ოსმალეთში ფედერატიულ მმართველობის დამკვიდრებას ესწრაფიან. ალბანელნიც ამ ნიადაგზე როგორც პარლამენტში, ისე პროვინციებშიაც იბრძვიან. სანამ ეს ძირითადი საკითხი ალბანელთა სასურველად არ გადასწყდება, მანამდე არც ალაბანეთის აჯანყება დაცხრება და ოსმალეთის „გამარჯვებასაც" დროებითი და წარმავალი ხასიათი ექნება.

ალბანელნი ძველ წეს-წყობილების დროს წათამამებულნი და განებივრებულნი იყვნენ, რადგან ოსმალეთის აბსოლიუტიზმს ამოღებულ ხმლივით დარაჯად ედგნენ.

მაშინ მოპოვებულ დამოუკიდებულებასა და უპირატესობათ ასე ადვილად როდი დასთმობენ".

ახალი ამბები

ტფილისი

◆ ტფილისის გუბერნიის საარჩევნო კომისიამ, თანახმად სენატის წინადადებისა, ხელმეორედ განიხილა საქმე დეპუტატ ნ. ს. ჩხეიძისა და დაადგინა: **ნ. ს. ჩხეიძე გამორიცხოს ტფილისის ამომრჩეველთა სიიდან, როგორც უცენზო.**

◆ **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** სწავლა 28 აპრილს შესწყდება. ეგზამენები 29 აპრილს დაიწყობა და 31 მაისს გათავდება.

◆ აპრილს **სახალხო სახლში** ქართულად წარმოდგენილი იქნება „ნიშანი ყოფაქცევაში".

◆ 1 აპრილს ბაქოს გაემგზავრა ტფ. ქალაქის **სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთა ექსკურსია,** რიცხვით 38 კაცი, აღმზრდელის ვლ. ბ. ელიავასი და მასწავლებლის ა. ს. დოვლითოვის ხელმძღვანელობით. მოსწავლეთ ბაქოში 5 დღეს დაჰყვეს და 6 აპრილს, დილით, ტფილისში დაბრუნდნენ.

◆ გუშინ სასანიტარო მზრუნველმა და ბოქაულმა დაშკოვმა ქალაქის მეოთხე საპოლიციო უბანში რამდენსამე ადგილას **უვარგისი ლორი** აღმოაჩინეს. შედგენილ იქმნა შესაფერი ოქმი.

◆ გუშინ უკვე დაბრუდნენ ტფილისში ქალაქის გამგეობის წევრი თავ. ნ. ი. არღუთინსკი-დოლგორუკი და პოლიცმეისტრის თანაშემწე კაპიტანი სტროევი, რომელნიც ბაქოს იყვნენ წასულნი ტფილისის პოლიციისათვის რევოლვერების საყიდლად.

◆ ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულებით, **სასტიკად დაისჯებიან ის პოლიციელნი,** რომელნიც აღდგომა დღეს ქალაქის მცხოვრებთ მიულოცავენ იმ აზრით, რომ საჩუქარი მიიღონ.

◆ 6 აპრილს ტფილისში შეიპყრეს ადმინისტრატიულად **გადასახლებულნი** და თავის ნებით დაბრუნებულნი ილიან მუსტაფელოვი, ივანე ტრეტიაკოვი და გიორგი მუხათგვერდელი.

◆ პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო იტყობინება, რომ **სამხედრო სასამართლომ ირაკლი ვაჩნაძისა და მარჩენკოს** საქმის გარჩევა დაასრულა. ვაჩნაძეს ორი თვით ჰაუპტვახტი მიუსაჯა. მარჩენკოს-4 თვით.

◆ ორ აპრილს სადგურ ნეზლობნაიაზე (როსტოვის გზაზე) ჟანდარმმა **დაატუსაღა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი მაგაკაძე და გეგია.** მათ ფრანგ ოქრო-მჭედლის დელაკინის მოკვლა ჰბრალდებათ. გაჩხრეკის დროს მათ არაფერი არ აღმოაჩნდათ.

◆ **ოსური წარმოდგენა.** სამშაბათს, 12 აპრილს, შუადღის 12 საათზე, ზუბალაშვილის სახალხო სახლში იქნება ოსური წარმოდგენა. ფასები 5 კ.—50 კ.-მდე.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ივანე ალიაშვილის საყმაწვილო მოთხრობები „სამშობლო ბუნების სარკე". წიგნი სუფთადაა გამოცემული, ბევრი სურათები აქვს ჩართული, 140 გვერდს შეიცავს და ექვსი შაური ღირს (ყდით-ორი აბაზი). ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებს მახლობელ ნომერში მოვათავსებთ.

◆ კავკასიის **ოლქის მზრუნველმა შუამდგომლობა** აღძრა, იმიერ კავკასიაში ხუთი სამოქალაქო სასწავლებელი გაიხსნას, ამიერ კავკასიაში კი 14. ყუბანის ოლქში რეალურ სასწავლებელსა ჰხსნიან. სასწავლებელთან იქნება სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო განყოფილება, იმათთვის, ვინც დაბალ სასწავლებლებს დაასრულებს.

◆ 6 აპრილს, მუშაობის დროს **მიწას ქვეშ მოჰყვნენ** გორის მაზრის სოფელ ხურვალეთის მცხოვრები ალექსი გიორგის ძე მუკნიაშვილი (35 წლისა) და დუშეთის მაზრის სოფელ ქონდორის მცხოვრები როსტომ საკას ძე ზოლოშვილი, რომელნიც სამკურნალოდ დახმარების აღმოსაჩენად არამიანცის საავადმყოფოში გა-გზანეს, მაგრამ ჩქარა გარდაიცვალნენ.

◆ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა ტფილისის ყველა ტაძარსა და ეკლესიაში 7 აპრილს, **თორმეტის თავის სახარების კითხვის დროს** პოლიციელნი იდგნენ წეს-რიგის დასაცველად.

◆ როგორც გავიგეთ, გარდა ამისა შტატის გაძლიერება იმისთვისაა საჭირო, რომ აპრილის მეორე ნახევარში მიმოსვლას დაიწყებს ბელგიიდან ახლად ჩამოტანილი მოტორიანი ვაგონები.

◆ ქალაქის გამგეობის მიერ გაწერილი ჯარიმები, როგორც გავიგეთ, უკვე ასცილებია იმ 7 ათას მანეთს, რომელიც უსახელო საზოგადოებამ სათავდებო თანხად შეიტანა.

◆ **ხულოში** (ბათომის ოლქი) საფოსტო განყოფილება გაიხსნა, ლიხაურში საფოსტო განყოფილება საფოსტო—სატელეგრაფოდ გადააკეთეს.

◆ დღესასწაულების გამო **მუშაობა მრავალ საზოგადო დაწესებულებებში შეწყდა:** სათავად-აზ. სააგ. მამ. ბანკში, სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიაში, რკინის გზის მთავარ სამმართველოში, ბელგიის უსახელო საზოგადოებაში და სხვა. მუშაობა აღარ სწარმოებს, რადგან მოსამსახურენი 14 აპრილამდე განთავისუფლეს.

◆ ორი კვირის წინად დატუსაღებული **ს. კაკაბაძე** გუშინ უკვე **განთავისუფლდა;** მასთან დატუსაღებულთაგან ყველანი განთავისუფლეს.

◆ სამშაბათს, 12 აპრილს **ქართულ თეატრში** ქართული დრამა დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **პირველად ახალი პიესა „ცხოვრების გზაზე", 4 მოქმ.**—გ. ფოცხოველისა.

ქალთა ხვედრი

(გაკვრით).

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, გინდა ხვადია.
შ. რუსთაველი.

მეტად დიდია და ნარ-ეკლიანი ის გზა, რომელსაც ქალები მიჰყავს თავისუფლებისაკენ; იგი გაღობილ-შეზღუდულია მრავალის მავთულებით და მაღალი ბარიერებით, მაგრამ როდესაც ქალებში გაიღვიძებს თვით-შეგნება და როცა ისინი შეერთებულ-შეთანხმებულ ძალ-ღონეს მოანდომებენ იმ საქმეს, რაიც გახდება მათი ergo,—მიზანი მალე თუ გვიან მიხწეულ იქმნება...

ექიმი ქალი ა. ნ. შაბანოვისა.

ხუთშაბათს, 25 მარტს, ქალაქ ტფილისში არსებულმა „კავკასიის ქალთა საზოგადოებამ" გახსნა „მშრომელ ქალთა კლუბი". ეს სასიამოვნო მოვლენა პრაქტიკული ნაბიჯია აღნიშნულ საზოგადოების მიზნის რეალურად გამოსახვისა და საბუთს გვაძლევს გაკვრით შევეხოთ საზოგადოდ ქალთა საჭირ-ბოროტო საკითხს.

მკითხველმა უწყის, რომ ამ ბოლო დროს, მრავალ კულტურულად დაწინაურებულს სახელმწიფოებში, შესამჩნევად იმატა ქალთა მოძრაობამ და საგრძნობელი იერიში მიიტანა მამაკაცთაგან იმ უსამართლოდ ჩაჩხირულ სიმაგრეზე, რომელიც ზღუდავს კაცობრიობის ერთი ნახევრის სამართლიან წადილს—გაუთანასწორდეს, ყველა ცხოვრების უფლებებში თუ არა, ნაწილშიაც არის, თავის მეორე-ნახევარს—მამაკაცებს.

ყველა კარგად ჰხედავს, თუ ქალი, შედარებით მამაკაცთან, რამდენად დაბეჩავებული და უფლებამოკლებულია ოჯახურ, თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მამაკაცისაგან დედაკაცის დაბეჩავება დამონავებას და საზოგადოდ სქესობრივ ბრძოლას უპირატესობის მოპოვებისათვის, თავისი დიდი ისტორიული წარსული აქვს და ამ მრავალ-საუკუნეების ვრცელ ისტორიის მოკლედ გადმოცემაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს; ეს არც შეადგენს მიზანს ამ მცირე წერილისას. ჩვენ მხოლოდ უსარგებლოდ არ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვით, ერთხელ კიდევ გავახსენოთ მკითხველს ეს მეტად ძველი, მაგრამ ამასთანავე მუდამ ახალი საჭირ-ბოროტო საზოგადოებრივი საკითხი.

დიახ, უტყუარი ისტორიული ცნობები გვაუწყებენ, რომ კაცობრიობის ორ-ნახევარს შორის დიდი ხანია სწარმოებს სქესობრივი ბრძოლა და ამ ბრძოლაში გამარჯვება ყოველთვის არა ყოფილა ხვედრი მამა-კაცებისა და სასწორი არა ერთხელ დედა-კაცებისაკენაც გადახრილა, როცა ცხოვრებაში გაბატონებული იყო ქალთა—დედობრივი უფლება.

ჯერ ისევ 40-50 წელიწადიც არ არის გასული მას შემდეგ, რაც გამოჩენილმა ინგლისელმა მოგზაურმა ლივინგსტონმა გვაუწყა, რომ აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში, თურმე განსაკუთრებით ქალები აწარმოებენ ვაჭრობას; აგრეთვე ჰხნავენ, სთესავენ, ბინებს აშენებენ, თავისუფლად მოგზაურობენ. ამ გვარი შრომა ანვითარებს ძალა-გამჭრიახობას გონებისას და ჯირკვლებისას და საშუალებას აძლევს ქალებს, არამც თუ თავი დააღწიოს მონობას, არამედ იბატონოს კიდეც მამა-კაცებზე; უკანასკნელთ კი თურმე თანდათან გონება უჩლუნგდებათ და აგებულებითაც სუსტდებიან, რადგანაც ერთთავად სახლებში სხედან, მხოლოდ ქსოვენ, ჰკერავენ, შინაურ საქონელს უვლიან.. ეს არც იმდენად გასაკვირველი უნდა იყოს: დაკვირვებულმა მკითხველმა უწყის, რომ თანამედროვე დედა-კაცი, თუ რომ გონებრივად, ან ფიზიკურად ჩამოუვარდება მამაკაცს, ამის მიზეზია, უმთავრესად, ის განსაკუთრებული პირობები, რომელშიაც იზრდება და მოქმედობს ქალი. ეს ხომ ყველასთვის აშკარაა, რომ ეს ორივე ნახევარი კაცობრიობისა, როგორც იტყვიან, „ერთსავე და იგივე ცომისაგან არიან გაკეთებულნი". ამასვე ვხედავთ სხვა (გარეშე ადამიანთა) ცხოველთა არსებობაში, რომ ბუნებას მამობრივ და დედობრივ სქესთა შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ დაუტოვებია, რაიც გვაუწყა მე-XII საუკ. ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა შოთამაც.

მონობა ხომ ათახსირებს ადამიანს, რომელსაც აჩვევს პირმოთნეობას, სიცრუეს, სიმხდალეს. მონობა ყოველთვის იყო და იქმნება საზიზღარი რამ ადამიანის არსებობისათვის საზოგადოდ და კერძოდ,—ქალისთვის. დიდი ხანია დედა-კაცი მოკლებულია საშუალებას, თანაბარ უფლებით, მამა-კაცთან ერთად წამოაყენოს თავისი „მე"-ც. ძველ დროში ხომ ისე ექცეოდნენ მას, როგორც უბრალო რამ ნივთს, საქონელს, საკუთარ გრძნობა-გონებას მოკლებულს. მამა-კაცის სურვილი დედა-კაცისთვისაც სავალდებულო იყო. იძულებითი გრძნობა სად გონებიან ადამიანისათვის, ეს ხომ ლოგიკური სისულელეა და რა გასაკვირველია, თუ თითქმის, ყველა ერის ისტორიაში, დამონავება ქალისა, მოვალეობითი, იძულებითი სიყვარული, მამა-კაცთა მონოპოლიური ხასიათი სქესობრივი ფუნქციისა, ყოველთვის თან მოსდევდა და ეხლაც მოსდევს ამას ოჯახის დაცემა. ეს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნებოდათ მათ ბატონ-პატრონ მამა-კაცებს, რომლებთაც სამაგიეროდ უმასპინძლდებოდნენ ქალებს ათას-ნაირ, ადამიანის დამამცირებელ, ეპიტეტებით. აიღეთ ჯერ წმიდა მამათა მოძღვრებანი: წმ. ანტონის სიტყვით,—როგორცა სჩანს ძველ რუსულ ნაწერებიდან—„ქალი დასაწყისია ბოროტებისა, ხელოა მაცდურისა. როცა შენს წინ ქალსა ჰხედავ, იცოდე, რომ შენ წინ ადამიანი კი არ არის, არც მხეცი, არამედ თვით მაცდური სულიო; ქალის ხმა გველის სისინიაო"...

„ქალიო",—ამბობს მეორე წმინდანი იორენიმე,—ეს ალაყაფია ეშმაკისა, უწმინდურების გზაა, შხამია ქვემძრომისაო". სხვები უფრო შორს წავიდნენ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე პროტესტანტები და კათოლიკები სდევნიდნენ და სწვავდნენ ზოგ ქალებს, როგორც კუდიანებს*). ისტორია გვაუწყებს, რომ ვიუცბურგის (ბავარია) ეპისკოპოსმა ორიოდე წელიწადში (1627—1629 წ.წ.) დასწვა თურმე 900 „კუდიანი" დედაკაცი; ზალცბურგის (ავსტრო-ჰუნგრეთი) ეპისკოპოსმა 1678 წელში, ერთ დღეს, დასწვა 97 „კუდიანი". ნეისეს საგრაფოში 1640—1651 წლებში დაუწვამთ ათასამდე და სხ. ასე უყურებდნენ ქალებს არა მარტო დახავსებული სასულიერო პირნი, არამედ ზოგიერთი თვით ფილოსოფოსნიც (სხოლასტიკები), რომელთა აზრითაც „ქალი ის სასიამოვნო საწამლავია, რომელიც კაცს ანიჭებს სამუდამო სიკვდილს, ეშმაკის მაშხალაა" და სხ.

ჯერ ისევ მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში თვით პარიზში, ამ განათლების აუზში, გამოსულა წიგნი „ქმრის უფლებაზე", ე. ი. რომ ქმარს ნება აქვს სცემოს და დასაჯოს ცოლი თავის სურვილისამებრო. გერმანელი მწერლები თურმე ჰქადაგებდნენ, რომ „სახედარი, ქალი და კაკალი მოითხოვენ ცემასაო". ინგლისური კანონები ერთ დროს „ნებას აძლევდნენ ქმრებს დაესაჯათ თავიანთი ცოლები ჯოხით და მათრახით".

აიღეთ ახლა კაცების მიერ ქალებზე შეთხზული „ხალხური" თქმულებანი. გერმანელებს თურმე ჩვენებური თქმულება აქვთ: „ქალს კაბა (თმა) გრძელი აქვს და ჭკუა მოკლეო", ან კიდევ: „სადაც ქალი განაგებს ოჯახს, იქ ეშმაკის ხელი

---

*) ეს ცრუმორწმუნეობა „ქალის კუდიანობისა", ჯერ ეხლაც დარჩენილია ბევრ ქართველ დაბა-სოფლებშიაც.

◆ წელს რკინის გზის მოსამსახურეთ შედარებით სხვა წლებთან **ძლიერ ცოტა საჩუქარი მიიღეს.**

◆ 1910 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულების ძალით ბელგიის უსახელო საზოგადოებამ 1911 წლის 1 ივნისისთვის უნდა მოასწროს **ნაძალადევისა და მუხრანის** ლიანდაგის გაყვანა. საზოგადოება ამ მოკლე ხანში შეუდგება მუშაობას. ამ მიზნით კონდუქტორებისა და ვატმანების **შტატი გააძლიერა**. ახლებს ძველთ კონდუქტორები და ვატმანები ასწავლიან და მხოლოდ გამოცდის შემდეგ ჰარიცხავენ სამსახურში

◆ ამ რამდენიმე დღის წინად **ჩაძირული შაფრანოვის წისქვილი წყლიდან უკვე ამოიღეს.** ნავებიდან წყალი მილებით გადმოაქციეს და შეკეთებას შეუდგნენ.

◆ 6 აპრილს 1 უპასპორტო დააპატიმრეს.

შეცდომის გასწორება:

გუშინ ბ-ნ ი. წინამძღვრიშვილის წერილში შემდეგი კორექტურული შეცდომებია: **სწერია** „გაჭირების ყავარჯენს ერთს ან რამდენიმე ამორჩეულს პირს მივაყრდნობთ", **უნდა იყოს** „გაჭირვების ყავარჯენს ერთსა ან რამდენსამე ამორჩეულ პირს მივაყრდნობთ".

ქვემოდ დაბეჭდილია: „მესვეურნი არიან, მხნე და გამრჯელი მესვეური ჩვენც". **უნდა იყოს:** „მესვეურნი არიან, მხნე და გამრჯელი მესვეურნიც. ჩვენც". და სხვა.

დაბეჭდილია „ვიმედოვნებთ, რომ ქართველი", **უნდა იყოს.** „ვიმედოვნებთ, ნამდვილი ქართველი". და სხვა.

ქუთაისი

◆ ქუთაისის დეპუტატთა საკრებულო, თანახმად თავად-აზნაურთა კრების გადაწყვეტილებისა, შუამდგომლობს სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა საერთო კრების წინაშე, რომ **ქართულ გიმნაზიის შენობის ვალი გასტუმრებულ იქმნას** იმ ფულიდან, რომელიც თავად-აზნაურობას ეკუთვნის და ქართული გიმნაზიის შესანახად ბანკის გამგეობამ გადასდოს თანხა.

◆ მარტის პირველ რიცხვებიდან ქუთაისის სამეურნეო სასწავლებელში გახსნილა სამეურნეო კურსები სამოქალაქო სასწავლებლის იმ კურს დასრულებულთათვის, რომელნიც ისმენენ პედაგოგიურ კურსებს ქუთაისის პირველ სამოქალაქო სასწავლებელში. ეს კურსები გასტანენ მაისის შუა რიცხვებამდეს და ამ ხნის განმავლობაში კურსისტები შეისწავლიან მეურნეობის შემდეგ დარგებს: მევენახეობას, მეღვინეობას, მებაღეობას, მებოსტნეობას, მიწის შემუშავებას და მეფუტკრეობას. ხელმძღვანელობას კურსისტებს უწევენ სამეურნეო სკოლის მასწავლებლები ბ-ნი ალ. შარაშიძის მეთაურობით. ლექციებს 23 კაცი ისმენს.

◆ **თავად-აზნაურთა სტიპენდიანტები** ყველა გასტუმრებულია აპრილამდის. აპრილის კრედიტი ჯერ არ გაუხსნია სამასწავლებლო ოლქის მზრუნველს.

◆ **ქუთაისის დეპუტატთა საკრებულომ** შუამდგომლობა აღძრა ქუთაისის გუბერნატორის წინაშე, რომ პოლიციამ ენერგიული ზომები მიიღოს იმ ფულის გადასახდევინებლად, რომელიც აზნაურობამ უნდა შეიტანოს თ.-აზნაურთა დაწესებულებათა შესანახად. მარტო უგანათლებულეს თავად მინგრელსკიზე ირიცხება ამ ჟამად 37,000 მანეთი, ხოლო გარდაცვალებულ თ. დ. გრ. დადიანის მამულზე—10. აზრად აქვთ, რომ ამ ფულით, თავდაპირველად გადაიხადონ ის 23,000 მანეთი, რომელიც საკრებულომ დახარჯა ქართული გიმნაზიის თანხიდან და გადანარჩენი ფული მოახმარონ გიმნაზიის შენობის დამთავრებას. („კოლხიდა")

ბაქო

◆ **დორთუნოვის ფირმის წარმომადგენლებს** კუზნეცოვსა და ნეკრასოვს მაძიებელ პოლიციისათვის განუცხადებიათ, რომ რამდენიმე დღის წინად სადგურ „ბაქოდან" მათ მიუღიათ რამდენიმე ყუთი ფართლეულობისა. რადგანაც ეჭვი არაფრისა ჰქონდათ, ყუთები მაღაზიებში გადაუტანიათ, მაგრამ იქ გახსნის შემდეგ ერთ ყუთში ფართლის მაგივრად, რომელიც 585 მან. ღირდა, აგურები და ჯირკვები ყოფილა, მეორეში კი—8 თოფ ფართლის მაგივრად—მხოლოდ სამი თოფი აღმოჩენილა და რკინის ნაჭერი. პირველი ყუთი რიგიდან ყოფილა გამოგზავნილი, მეორე კი—პეტროკოვის რკინის გზის სადგურ „თომაშევიდან".

◆ 6 აპრილს, ღამით ბიბიებათში ლიანოვისა და ფიოლევის ნავთის სამრეწველოში დიდ ქარს ორი **კოშკი** (ვიშკა) **წაუქცევია**. ქვეშ დაუტანია დარაჯი მაჰმად-ალი ლაილ-ოღლი და მძიმედ დაუშავებია.

◆ 6 აპრილს, საღამო ხანს შემახინკის **ციხის ზედამხედველი** ესტატე დოლი სამსახურში **მთვრალი** მისულა. იქაური ადმინისტრაცია გასჯავრებია და იმ დღის რიგიდან გადაუყენებია. ეს ძლიერ სწყენია **დოლს** შესულა ფეხის ადგილში **და** სამჯერ უსვრია თავის-თავისთვის რევოლვერი, მაგრამ აუცდენია. დოლს იარაღი წაართვეს და კამერაში დაამწყვდიეს.

◆ ქალაქის გამგეობა ამ ჟამად მეტად უხერხულ მდგომარეობაში არის, რადგანაც გაშავებულ ძველ ხმოსნებს, პრინციპიალურ მოსაზრებათა მიხედვით კომისიებში მუშაობისათვის თავი მიუნებებიათ, რის გამოც კომისიებმა მუშაობა შესწყვიტეს.

წერილი ავსტრიიდან

პრაგა, 2 აპრილი.

იმპერატორის უკაზით ბარონ ბინერტმა ხალხისაგან პირველი არჩეული პარლამენტი დაითხოვა და 13 თიბათვისთვის ახალი არჩევნები მოახდინა. ამ ნაირად უდღეოდ და უნაყოფოდ დაამთავრა თავისი სიცოცხლე ავსტრიის პირველმა, საზოგადო არჩევნებისაგან შემდგარმა, ანუ, როგორც ავსტრიელები უწოდებენ „ხალხის პარლამენტმა" ბევრის იმედი გააქარწყლა. ხალხს ის ვერ მისცა, რასაც ჰპირდებოდა და მთავრობისთვის ისეთი ვერ გამოდგა, როგორც მას ჰსურდა. ძველმა რეჟიმმა ახალ პირობებშიაც ნამდვილი სახე დაანახვა ხალხის პარლამენტს. ბიუროკრატიამ თუმცა კანი იცვალა, გული კი ისევ ძველი შეინარჩუნა, და როდესაც ხალხის პარლამენტი ბარ. ბინერტის უზომო მოთხოვნილებას წინააღუდგა და ყურმოჭრილ ყმად არ გაუხდა, ბრწყინვალე ბარონმა ამ ურჩობისათვის პარლამენტი სამაგალითოდ და სასტიკად დასაჯა. ძველი, გამოცდილი ზომის მიხედვით პარლამენტი დაითხოვა და 14 მუხლის რეჟიმი აღადგინა. 14 მუხლი ისეთივეა თავისი შინაარსით, როგორც რუსეთის ძირითად კანონების 87 მუხლი, ე. ი. მთავრობას ნება ეძლევა უპარლამენტოდ ცხოვრებაში გაატაროს ის ზომები, რაც მას საჭიროდ მიაჩნია. ისეთ ქვეყანაში, სადაც პარლამენტარიზმი მოქმედობს, სადაც მთავრობა პარლამენტის უმრავლესობაზეა დამყარებული, პარლამენტის გარეკვა შეუძლებელია, შესაძლებელ და საუმჯობესოდ მიაჩნიათ ხოლმე ასეთ შემთხვევაში კაბინეტის გამოცვლა, გადადგომა. განკერძოებულ კანონებს კი, როგორიც ამ შემთხვევაში 14 მუხლია, ძლიერ იშვიათად მიჰმართავენ. პოლიტიკოსების აზრით, განკერძოებითი კანონები ამა თუ იმ რეჟიმის სისუსტეს წარმოადგენენ და მათი შემწეობით მთავრობის ძლიერების აღნიშვნა შეუძლებელია. კავურის სიტყვით, ხიშტითა და განკერძოებული კანონით უკანასკნელ რეგვენსაც კი შეუძლია იმოქმედოს. თვით ავსტრიაში, სადაც მე-14 მუხლის აჩრდილი დამოკლის ხმალივით ტრიალებს დეპუტატების თვალწინ, ბარონ ბინერტის წინამოადგილენიც კი იშვიათად ხმარობდნენ ასეთ ზომას პარლამენტის წინააღმდეგ, უმჯობესად მიაჩნდათ გადადგომა; განსაკუთრებით ბეკის სამინისტროს შემდეგ, როდესაც საყოველთაო არჩევნების კანონი იქმნა განხორციელებული, ყველა დარწმუნებული იყო, რომ განსაკუთრებული კანონი და მასთან მე-14 მუხლი დავიწყებას მიეცემა და არხივიდან ვერასოდეს ველარ ამოჰყოფს თავსაო. დღეს ბარ. ბინერტმა ერთი კალმის მოსმით გაუცრუა ყველას იმედები. სწორედ გაცხარებული მუშაობის დროს, როდესაც ავსტრიის მთელი ერი სასოებით და იმედით შესცქეროდა პარლამენტის მოქმედობას, და მისგან სოციალურ დაზღვევის კანონის განხორციელებას ელოდა, ამ დროს ბინერტმა ბოლო მოუღო ხალხის ყოველივე სასოებას და იმედებს. თვით ბინერტის წინამოადგილეებს იმდენი პატივისცემა ჰქონდათ ხალხის წარმომადგენლების წინაშე, რომ ძლიერ, ძლიერ იშვიათად მიმართავდნენ ასეთს ზომას. ავსტრია ხომ საარაკო ქვეყანაა სამინისტროების სიმდიდრით. ყოველ თვეში თუ არა ყოველ წელიწადში მაინც იცვლება ავსტრიის სამინისტრო. აი ამის მაგალითი. დუალიზმის შემოღებიდან დღემდის ავსტრიაში 23 სამინისტრო გამოიცვალა, ბადენის ხანის შემდეგ კი 12. 1895 წ. შესდგა ბადენის სამინისტრო (აქედან იწყება ბადენის ხანა), რომელიც 1897 გაუჩის სამინისტრომ შესცვალა. 1898 წ. სამინისტრო შეადგინა ტუნმა და 1899 წელს კი კლარიმ. ამავე 1899 წლის 21 დეკემბერს შესდგა ვიტეკის სამინისტრო, რომელმაც მხოლოდ 1900 წლის 18 იანვრამდის იცოცხლა (27 დღე). ამას მოჰყვა კერბერი, რომელმაც სამინისტრო 1904 წლამდე შეინარჩუნა. კერბერს ისევ გაუჩი მოჰყვა, რომელიც საყოველთაო არჩევნების კანონ-პროექტმა დასცა. წითელმა პრინცმა, ჰოჰენლოემ, სწორედ ერთი თვე იმინისტრა—1906 წლის 2 მაისიდან იმავე წლის ორ ივნისამდე. საყოველთაო არჩევნების კანონის განხორციელება ისტორიამ ბეკის სამინისტროს არგუნა, მაგრამ ვერც ამან შეირჩინა დიდხანს სამინისტრო — 1906 წლის 2 ივნისიდან 1908 წლის 15 ნოემბრამდის. 1909 წ. 10 თებერვალს ბარონ ბინერტის დროებითი სამინისტრო ნამდვილ სამინისტროდ დამტკიცდა და სხვა და სხვა სახელით და ფერით დღემდე განაგებს ავსტრიის პოლიტიკას. ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ სამინისტროებიდან მხოლოდ ერთმა კერბერმა იხმარა მე-14 მუხლი პარლამენტის წინააღმდეგ. მას უკან დღემდის მისი სახელი ხსენებაში არ ყოფილა. დღეს ავსტრიის ბიუროკრატიას ბინერტის სახით ალბად მოსწყინდა მუდამ ფერისა და კანის ცვლა და განსაკუთრებული კანონის ხმარება საუმჯობესოდ ჩასთვალა. ბინერტმა სამჯერ შეადგინა თავისი სამინისტრო, სამჯერ მოახდინა რეკონსტრუქცია—რეორგანიზაცია, მაგრამ პარლამენტის გული მაინც ვერ მოიგო. დღეს გულმოსულმა მასზე ჯავრი იყარა. როგორც ყოველი ბიუროკრატი, ბინერტი რეზინივით ხან ერთი მხრისკენ გაიწევა, ხან მეორესაკენ და იმავე რეზინივით ბოლოს ისევ ძველებურ სახეს მიიღებს. მისი სამინისტრო ხან წმინდა ბიუროკრატიული, ხან ბიუროკრატიულ-პარლამენტარული და ბოლოს ბიუროკრატულ-პარლამენტ-ნაციონალური ყოველთვის უვარგისი გამოდგა, რაიმე ობსტრუქცია ჩეხების მხრით ან სოციალ-დემოკრატების უგულობა, როგორც ბარონი ირწმუნება თავის გრძელ პროკლამაციაში, სრულიადაც არ ყოფილა პარლამენტის დათხოვნის მიზეზი. ბინერტს თავისი მოქმედებისთვის კარგა ხანია უმრავლესობა აღარ ჰყავს პარლამენტში და პოლონელები კი არა საიმედო ელემენტს წარმოადგენენ. პარლამენტის დათხოვნა და ახალი არჩევნების დანიშვნა ერთად ერთი სახსარია ბარ. ბინერტისთვის, რომ დღევანდელი უხერხული მდგომარეობიდან რამენაირად თავი დაახწიოს. აი მოკლე სურათი მთავრობის უმრავლესობისა და მასთან შედარებით ოპოზიციის უმცირესობისა. წარსულ პარლამენტში მთავრობის პარტიას ეკუთვნოდნენ:

ქრისტიანი სოციალისტები	94	დეპუტ.
გერმანელი ნაციონალისტები	76	"
პოლონელთა კოლო	71	"
რუმინები, იტალ. და პანგერმ.	23	"
სულ	264	

ამათ წინააღმდეგ ოპოზიციაში იყო:

სოციალ-დემოკ. კავშირი	87	დეპუტ.
ჩეხების საერთო კლუბი	81	"
რუსები	28	"
სამხრეთ სლავიანები	13	"
სლოვინები	22	"
	231	

ასე რომ, მთავრობის უმრავლესობა მუდამ დარაჯად უნდა ყოფილიყო, რომ ოპოზიციას არ გაემარჯვებინა. მთავრობა იძულებული იყო პოლონელები მუდამ თავის მხარეზე ჰყოლოდა, და თუ ერთხელ პოლონელები გაგულისდებოდნენ და მთავრობას ზურგს მიაქცევდნენ, მისი საქმე დაკარგული იქნებოდა.

ბინერტი როგორც პოლიტიკოსი კარგად გრძნობს, რომ ავსტრიის პოლიტიკური სიტუაციის მთელი სიმძიმე დღეს ჩეხიაში (ბოჰემია) სძევს და სანამ ჩეხიაში მშვიდობიანობა არ ჩამოვარდება ჩეხებსა და გერმანელებს შორის და სანამ ნორმალური ცხოვრება არ დამყარდება, მანამ პარლამენტის მოქმედება თითქმის უნაყოფოა. ეროვნული უთანხმოებისა და ბრძოლის გამო დღეს ჩეხია, ეს ავსტრიის საქსონია, გაკოტრების გზაზეა. ბარონ ბინერტს იმედი აქვს გაკოტრებული და ბრძოლისაგან მოქანცული ჩეხიის მცხოვრებნი პარლამენტში მის ყურ-მოჭრილ მონებს გაგზავნიან. ამითი ბარონს ორი კურდღლის დაჭერა უნდა: პარლამენტში სასურველი უმრავლესობა მიიპოვოს და ჩეხიაში მშვიდობიანობა ჩამოაგდოს. იმასაც კარგად გრძნობს ბინერტი, რომ სოციალ-დემოკრატები ავსტრიის პარლამენტის ცხოვრებაში, დიდ როლს თამაშობენ. დიდის სიამოვნებით გაიხდიდა მათაც თავის მომხრეებად, მაგრამ სოც.-დემოკრატები მთავრობისთვის ძალიან მაგარი კაკალია. ბინერტი თავის პროკლამაციაში ცრემლის ღვრითაა და საყვედურით იხსენიებს მათ მოქმედებას: „ობსტრუქციას ფარულად მხარს უჭერდნენ, მაშინ როდესაც მთავრობა მათგან ბევრ კითხვებში დახმარებას და განსაკუთრებით ნაციონალურ კითხვებში შუამავლობას მოელოდაო"...

ვ. მ—ძე.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 აპრილი.

საზღვარ-გარედ.

რეიმსი. მეღვინეთა სინდიკატის ვიცე პრეზიდენტი დაკემერი დაატუსაღეს. მან ეიში ძარცვა-გლეჯა მოაწყო. მის სადგომში საეჭვო ქაღალდები იპოვეს.

ფეცი. მთავრობის ჯარმა მერადეს თემი დაამარცხა. 40 მერადელი მოჰკლეს, 80 ტყვედ წაიყვანეს.

დუგლასი. მეამბოხეებმა აგუაპრიეტას თავი მიანებეს, რადგანაც სურსათი შემოელიათ.

ლონდონი. უქმეების შემდეგ პალატის კრებები დაიწყო. მინისტერმა ჩერჩილმა ახალი ბილი შეიტანა. ბილი უცხოელ დამნაშავეებზე მეთვალყურეობას ეხება. ჩერჩილმა სთქვა, რომ სასამართლო ასეთ დამნაშავეთა სჯის ხშირად არ განდევნის ხოლმე; განდევნილთაგან თუ ვინმე დაბრუნდა სამი თვით ციხეში ამწყვდევენ; თუ დაბრუნება რამდენჯერმე განმეორდა—წლით და ორი წლით ატუსაღებენ. ინგლისმა იმ პირთ ხელი არ უნდა შეუშალოს, ვინც ინგლისში მფარველობას ეძებს. ინგლისმა უცხოელთა მშვიდობიანი ცხოვრება უნდა დაიცვას, მეტადრე ებრაელებისა, რომლებიც კანონს პატივის ცემით ეპყრობიან. დანაშაულებანი რომ არ განმეორდნენ, ჩერჩილს უფლება უნდა ჰქონდეს, უცხოელებს საჭიროებისამებრ თავდებები მოსთხოვოს. უცხოელნი, რომლებიც ინგლისში ხუთ-წელს დანაშაულის ჩაუდენლად იცხოვრებენ თავდებობისაგან განთავისუფლდებიან. თავდებობა იმ უცხოელთათვისაა საჭირო, რომელნიც ისეთ ქვეყნებიდან მოდიან, სადაც კაცის კვლა ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული, სადაც ყოველი პოლიციელი მტერია, სადაც ყოველი სახელმწიფო დაწესებულება—ტირანობაა. თუ ვისმეს საჭირო თავდებობა არ ექნება, მთავრობას ნება უნდა ჰქონდეს ასეთი პირები გადაასახლოს. თავდებობა არ დასჭირდება იმათ, ვინც სარწმუნოებრივ და პოლიტიკურ რწმენისათვის სამშობლოდან განდევნილი. უცხოელებს იარაღის სატარებლად პოლიციის ნებართვა უნდა ჰქონდეთ.

ლონდონი. ქვედა პალატა. კრება დილის $4^1/_2$ საათზე გათავდა. უმრავლესობამ, 143 ხმით 78 წინააღმდეგ, საპარლამენტო ბილის პირველი მუხლი მიიღო.

მექსიკა. დროებით ზავის ჩამოსაგდებლად მოლაპარაკება გაიმართა. ჰფიქრობენ, ჩქარა დაიწყება მოლაპარაკება დიდი ხნით მშვიდობიანობის დასამყარებლადაო.

პარიზი. მთავრობამ გენერალ მოტიეს უბრძანა სულთან მულაი-ჰაფიდს ჯარების გაგზავნაში დაეხმაროს.

რუსეთი

კიევი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით კრება მოხდა, რომელმაც კიევის გუბერნიაში ერობის შემოღებაზე ითათბირა. კრებას 50 კაცი დაესწრო.

არხანგელსკი. ერთს დღეს სულთ აღწერა მოახდინეს. გამოირკვა, რომ სულ 35.000 მცხოვრებია 1897 წ. აღწერასთან შედარებით 12.000 მეტია.

მოქმედობსო"; ქალები და ფული არის მიზეზი ყოველგვარ ქვეყნიურ ბოროტებისაო და ამიტომ არ უნდა დაუჯერო ქალს, გინდ იგი მკვდარიც კი ნახოო"..

აღმოსავლეთის თქმულება ამბობს: „ვინც თავის ცოლს ენდობა, ის თავისავე თავს ატყუებს და ვინც არ ენდობა, იმას ცოლი ატყუებსო". რუსები ხომ ჯერაც გაიძახიან: „ქათამი ფრინველებში არ ჩაითვლება და ქალი ადამიანებში". განა ჩვენ ქართველებს და მრავალ კიდევ სხვა ერებს ცოტა მოგვეპოება თქმულებანი, რომლებიც ამცირებენ, ათახსირებენ ქალს, როგორც ადამიანის პიროვნებას?!..

გაუნათლებელ ქვეყნებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთისა, უფრო მეტად საგრძნობელი ყოფილა მონობა ქალებისა. მაღალ კლასების სიმდიდრე—ფუფუნებაში ცხოვრება და უსაქმურობა ჰქმნიდა მრავალ ცოლიანობას. მაგალითად, ინდოეთში ბავლენიან, მდიდარ პირთ და განსაკუთრებით მთავარმმართებელთ, ჰყავდათ ხოლმე ცოლები ასობით და ათასობით. სპარსეთის შაჰების სასახლეების ჩამომავალთ ჰყავდათ ხოლმე სხვა და სხვა ადგილას 300 ცოლი და 1200 ხასა. ახმედ პირველს სათათრეთის მბრძანებელს (1589—1617 წ.წ.) ჰყოლია 3000 ცოლი და იმის სასახლის პირთ—თითოს კიდევ ასობით.

— ვის გაუგონია ქვეყანაზე სათნოიანი და ერთგული ქალიო,—სულის კვეთებით თურმე შესძახოდა ხოლმე „სათნოიანი" მეფე სოლომონი, რომელსაც ჰყავდა 700 ცოლი და 300 ხასა!..

ასეთი პიროვნების გამათახსირებელი, ტლანქი და დამამცირებელი იყო კაცების განწყობილება ძალად დამონავებულ ქალებისადმი. მაგრამ ვიღასაც უთქვავს, რომ „მონობა არ შეიძლება იყოს მუდმივი, ვიდრე მონებად იქმნებიან ადამიანები, ე. ი. ქმნილებანი გონებით, გრძნობით და წყურვილით, რაც შეიძლება მეტი თავისუფლება განიცადონ ცხოვრებაში მეტი სიამოვნების მოსაპოვებლადო". ამითივე აიხსნება, რომ ქალებიც უპროტესტოდ არა სტოვებდნენ თავიანთ დამცირებას და არა იშვიათად პირდაპირ შეებრძოლებოდნენ ხოლმე მთავრობას და აიძულებდნენ უკან წაეღოთ ისეთი კანონი, რომელიც მეტად ზღუდავდა ქალთა თავისუფლებას. რამდენად ძლიერი ყოფილა სურვილი განსათავისუფლებლად, მაგ., რომაელ ქალებისა, ეს იქიდანაცა სჩანს, რომ „ისინი, ამ ნიადაგზე, არამც თუ კერძო კაცების მკვლელობას სჩადიოდნენ, არამედ ფარული საზოგადოებაც კი მოაწყეს იმ მიზნით, რომ დაეცათ პატრიარქალურ-ოჯახობრივი წეს-წყობილება და ჯერ ისევ 326 წ. ქრისტეს დაბადებამდე რომი საშინლად აღშფოთდა, როცა გამომჟღავნდა ფარული შეთქმულება ქალებისა, რომლებიც მომზადებულიყვნენ ქმრების მოსაწამლავად და რამდენიმეს მოწამვლა მოესწროთ კიდეც; მაგრამ, როცა გამომჟღავნდა, დამნაშავე ცოლებს თვითვე დაალევინეს მათ-მიერ ქმრებისათვის დამზადებული საწამლავი".

ასე ექცეოდნენ უწინდელ, ისტორიულ დროში მამა-კაცები დედაკაცებს, რომელნიც შთამომავლობის აღმზრდელად ითვლებიან.

ვინც კი საზოგადოდ გულწრფელი მომხრეა სიმართლისა და სამართლიანობისა, ვინც კი ფხიზელი თვალით ხედავს საზოგადო სარგებლიანობას, იმას არ შეიძლება არ ახარებდეს ყოველ-გვარი წარმატება და პროგრესი, გაუმჯობესება საზოგადო ყოფისა ქალთა, რომელთა ინტერესები ისე მჭიდროდ და განუყრელად გადახლართულ-ჩაქსოვილია მამა-კაცთა ინტერესებში. მიუდგომელი გარჩევა კაცობრიობის ისტორიული წარსულისა, აშკარად დაარწმუნებს კაცს, რომ როგორც ოჯახური, აგრეთვე საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი სარგებლობაც მოითხოვენ, რომ მოსპობილ იქმნას ეგოისტ-მამაკაცისგან შექმნილი, ქალთა უფლების შემზღუდველი, კანონები და ეს ორი ნახევარი კაცობრიობისა სავსებით გათანასწორებულ იქმნას ეკონომიურ, სოციალურ და იურიდიულ უფლებებში.

ყველამ კარგად უწყის, რომ განსაკუთრებით ქალისაგან—დედისაგან იყრება აღზრდის ის საძირკველი, რომელზედაც შემდეგში შენდება და ყალიბდება ადამიანი, თავისი გარკვეული ნება-სურვილებით და საქმიანობის უნარით; და ნუ თუ დედას, უფლებით დამონავებულ-დაბეჩავებულს შეუძლია აღზარდოს თავისუფალი და სულით ამაყი მოქალაქე?!..

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ქალთა გათანასწორების საკითხი მეტად რთული საკითხია და როგორც ერთმა მწერალმა სთქვა „მარტო კეთილი სურვილებით და ლამაზი სიტყვებით ოდნავაც წინ ვერ წაიწევა ის საქმე, რომელიც თავის განსავითარებლად მოითხოვს შეგნებულად, თანდათან და მედგარ მუშაობას, შეფარდებულს საერთო სოციალურ და პოლიტიკურ მსვლელობასთან".

ქალებს მხოლოდ უნდა ახსოვდეთ, რომ რაც მეტი დრო გადის, მით მეტადვე რთულდება; ცხოვრების პირობები და იმათ მუქთად, არა სოლიდარულ მუშაობით არავინ არაფერს მისცემს. როგორც ყოველი გაბატონებული მმართველი, აგრეთვე მამა-კაციც უბრძოლველად არ გაუზიარებს დედა-კაცს თავის ცხოვრებაში უპირატესობას და შედარებით უზრუნველ ყოფას, საუკუნებით მითვისებულს და შესისხლხორცებულს. ადვილი არ არის ქალთა მიზნის განხორციელება, მაგრამ მათ უნდა დაიხსომონ ამ წერილის სათაურში მოყვანილი სიტყვები გამოჩენილ მოღვაწე ქალის ექ. შაბანოვისა...

ეს მეორე წელიწადია, რაც ჩვენშიაც, ტფილისში, დაიწყო მოქმედება „კავკასიის ქალთა საზოგადოებამ". ეს საზოგადოება ანასხლეტია იმ მოძრაობისა, რომელიც თანდათან ფეხს იკიდებს რუსეთის პოლიტიკური ცხოვრებაშიაც კი. საზოგადოდ რუსეთში დაარსებულ ქალ. საზოგადოებების უმთავრესი მიზანია, გაუღვიძოს დედა-კაცებს თვით შეგნება და შეებრძოლოს იმ ცრუ-შეხედულობას, ვითომც ქალის ხვედრი იყოს დაბეჩავებულად ყოფა ოჯახში და სახელმწიფოში". რუსეთის ქალაქებში არსებულ ქალთა საზოგადოებების მოქმედებას საკმარისი უნარი და ნაყოფიერობა ეტყობა. ჩვენებურ „კავკ. ქალ. საზ.—ებას" აქამომდე მაინც და მაინც არ გამოუჩენია საყურადღებო რამ უნარი, რაიც, ცოტა არ იყოს, აიხსნება იმითაც, რომ კავკასიელი ქალები ნაკლების ხალისით და სურვილით ეკიდებიან, ვიდრე ღირსია ეს სიმპატიური საზოგადოება.

ზემოდ მოხსენებული „მშრომელ ქალთა კლუბის" გახსნა არის პირველი პრაქტიკული და ნაყოფიერი ნაბიჯი ამ ქალ. საზოგადოებისა, რომელსაც განუზრახავს გახსნას აგრეთვე აღნიშნულ კლუბთან, სისტემატიური კურსები თვით-განვითარებისთვის და პროფესიონალური, აგრეთვე ბიბლიოთეკა, სკოლა, საბავშვო ბაღი, სახელოსნოები, ბიურო ადგილების მოსაძებნად, შემნახველ-გამსესხებელი კასა, თავშესაფარი და სხ. ერთი სიტყვით, კავკ. ქალ. საზოგ. მომავალი პროგრამა მოქმედებისა მეტად ფართოა და საყურადღებო და თუ ამ პროგრამის ნაწილიც არის განხორციელდა, დიდ სარგებლობას მოუტანს ქალთა ყოფის გაუმჯობესობას.

ვუსურვოთ, მკითხველო ნაყოფიერი მოქმედება საზოგადოებას და გამარჯვება ქალთა საქმეს; რადგანაც ამ გამარჯვებით საზოგადოებაც, ქვეყანაც მოგებული დარჩება. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქალებიც თავისი მორალურ-მატერიალური *) დახმარებით ხელს შეუწყობენ აღნიშნულ სიმპატიურ საზოგადოების ჯეროვან აღორძინებას.

გ. ახალციხელი.

---

*) საზოგადოებაში ჩასაწერი წლიური გადასახადი 3 მანეთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პერმი. ს. ზეტროპავლოვსკში კლდე ჩამოწვა და ეკლესია დაიტანა. 3 კაცი მოკვდა, 3 დაიჭრა.

მოგილიოვი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით კრება მოხდა, რომელმაც მომავალ ერობაზე ითათბირა.

განცხადებანი

დოქტ. ნავასარდიანისა

უოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

უ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულიანი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გევორკიან-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. გარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. (1163—11)

მუხრანის ხიდთან

სამკურნალო

გ ა ი ხ ს ნ ა

მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ახპიხოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

კ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

ზ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606“-ით.

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. **ა. ი. გრიგორიანი.** № 646. 100—5 (0—1003—57)

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაბებიდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (თ.—83)

„სამკსონი“

თმებისათვის

საპონი ექ. **დიდიძისა**

ყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—12)

ქ. თ ე ლ ა ვ შ ი

ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე

ჭრა-კერვის

● წ ი გ ნ ი ●

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

აქვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

სოფიო ი. სიმონოვის მიერ.

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ან მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—28)

A.S.V.
ШЕЛКОВИЧНАЯ ОДНОЛЕТНЯЯ ГРЕНА ВЪ ПОЛН. БАГДАДСКОЙ ПОРОДЫ
ПРИГОТОВЛЕНО ПО СИСТЕМЕ ПАСТЕРА
АЛЕКСАНЪ ВАРПЕТЯНЪ и Ко
КОНСТАНТИНОПОЛЬ

მიიღეთ და
მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

აბრეშუმის

◀ ჭიის თესლი ▶

ბაღდადურ თეთრის ჯიშისა.

ალექს. ვარპეტიანისა და ამხ. ფირმისა (წინად ა. ზ. არსენისა და ამხ. ფირმად ყოფილი). კავკ. სააბრეშუმო სადგურის თეთრი ბანდეროლით, საგანგებოთ დამზადებული.

ტიგრან ხაჩიანცის დაკვეთით, საგანგებოდ ქუთაისის გუბერნიისათვის. თითო კოლოფში სწორედ 6 მისხალი, (25 გრამი), კარგად შემოწმებული თეხლია კისეის ტოპრაკებით ფირმის შტემპელითა და ლაქის ბეჭედ-დასმული „ა. ვარპეტიანი“, კოლოფშივე არის 1 ცალი დარიგება ჭიის რიგიან მოვლაზე. ქალაქ გარეთ მყოფნი მყიდველნი მოიკითხავენ: კანტორა სიონის ქუჩ., ტამრის I ქიმში მოთავსებული, ბარხუდაროვის მემკვიდრეთა სახლში N 6, და ღიაა დილის 10 ს.—2 საათამდე.

მთელის რუსეთის იმპერიისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელი **ტიგრან სერგოს ძე ხაჩიანცი.** ადრესი წერილებისა და დეპეშებისათვის: Тифлисъ, Тигранъ Хачіанцъ

(12—1026—10)

ტფილისის მეშჩანთა მამასახლისი

ტფილისის გუბერნატორის წინადადებისამებრ, აუწყებს ქ. ტფილისის მეშჩანებს (მოქალაქეთ), რომ: 1) მეშჩანთა საზოგადოების **რწმუნებულთა** (დეპუტატთა) არჩევნები, სამის წლის ვადით, 1911—1913 წ., რიცხვით 100 კაცი, მიმდინარე წლის 7 მაისამდის და საგუბერნიო მთავრობის მიერ დამტკიცებულ რწმუნებულთა საერთო დადგენილებისამებრ, **უბან-უბან მოხდება: პირველ უბანში** მოქცეულია 1, 2. და 3 საპოლიციო უბანი; **მეორეში**—4, 5 და 6 უბანი; **მესამეში**—7, 8 და 9 უბანი; **მეოთხეში**—10, 11 და 12 უბანი. ამასთანავე ასარჩევი 100 წევრი რწმუნებული ასე ნაწილდება: პირველი საარჩევნო უბანი 18 რწმუნებულს, მეორე—28, მესამე—32, მეოთხე—22. 2) **ეს არჩევნები ყველა უბანში მეშჩანთა მამასახლისის (სტაროსტა) თავმჯდომარეობით მოხდება** მეშჩანთა გამგეობის (ელისაბედის ქუჩა, № 23) ბინაზე, **დილის 10 საათიდან** შემდეგს დღეებში:

პირველ საარჩევნო	უბანში	(1, 2, 3—18 რწმუნებ.)—17 აპრილს.
მეორე	„	(4, 5, 6—28 რწმუნებ.)—24 აპრილს.
მესამე	„	(7, 8, 9—32 რწმუნებ.)—1 მაისს.
მეოთხე	„	(10, 11, 12—22 რწმუნებ.)—8 მაისს.

მეშჩანთა მამასახლისი იუწყება ამას და ტფილისის მეშჩანთ სთხოვს, ვისაც კი აღნიშნულს არჩევნებში საარჩევნო უფლება აქვთ, **მონაწილეობა მიიღონ** მასში, უბნებად, თავის ნამდვილ ბინადრობის მიხედვით, რისთვისაც სთხოვს, თავის დროზე და რაც შეიძლება **არჩევნებამდე 2 დღით ადრე მაინც, შეიძინონ შესასვლელი ბილეთები**, ურომლისოდაც საარჩევნო დარბაზში არავის შეუშვებენ.

საარჩევნო კრებაზე შესასვლელ ბილეთებს მისცემენ ყოველ დღე 14 აპრილიდან, დილის 10 საათიდან 2 საათამდე მეშჩანთა გამგეობაში, კვირაუქმისა და საუფლისწულო დღეებს გარდა.

ამასთანავე მეშჩანებს ვაფრთხილებთ, რომ კანონის ძალით არჩევნებში მონაწილეობის მიღება ეკრძალებათ: ა) 25 წლისაზე ნაკლებთ, ბ) იმ პირთ, ვისაც მე-582 მუხ. მე-15 მუხ. დამ. (შენიშ.) კანონთა დებულების მე-IX ტომი 1899 წ. გამ. ხმის უფლება შეზღუდული აქვთ, და გ) იმათ, ვინც დღევანდლამდე კამერალურ ან არსებული წესით მეშჩანთა გამგეობის სიაში არ ჩაწერილან. (3—122—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძებველოვების

● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

✦ ახალ-ახალი ✦

ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).

ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო დოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მიიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბეც 50 კ.

აგრე იყიდება დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

დაეძებარეთ დღესასწაულებისათვის სააღდგომოდ შეიძინოთ გრამოფონები და ფირფიტები

საქციონერო საზოგადოება

გრამოფონი

გოლოვინის პროსპ. № 9.

ყოვლად სრული სამუსიკო საკრავია, თუ ზედა აქვს მსოფლიოდ ცნობილი

საქარხნო მარკა
TRADE MARK
მწერავი ანგელოსი

მღერის, ლაპარაკობს, იცინის

ამხიარულებს, ართობს და მუსიკის სიყვარულს აღვიძებს.

მიღებულია დიდ-ძალი აპარატები, უკანასკნელ გაუმჯობესებულ კონსტრუქციისა, და ფირფიტები მთელს დედა-მიწის ზურგზე ყველა ენაზე ნამღერისა.

კატალოგები უფასოდ მოითხოვეთ.

(5- 1206—5)

ბორჯომის საზოგადო საკრებულოში | მაისი დან

გაიცემა ბუფეტი.

პირობების შესატყობად შემდეგის ადრესით მიჰმართეთ:

ბორჯომი, ნ. მ. ბალამუტოვს. (3—549—

ყოველ-გვარი უპირატესობა აქვს



„პატეფონს“

ПЛАСТИНКИ ПАТЕ ИГРАЮТЪ БЕЗЪ ИГОЛОКЪ
УТВЕРЖДЕН ФАБРИЧНАЯ МАРКА

ფირფიტებზე უკრავს უნემსოდ

ძმათა პატეს საქციონერო საზოგადოება“ ქ. პარიზში.

მხოლოდ „პატეფონია“ ისეთი, რომელიც ნემსების სისინით ცუდს შთაბეჭდილებას არ ახდენს; ნემსების ადგილას გაკეთებულია მუდმივი საფირონი, რომელიც არასოდეს არა ფუჭდება. საფირონი არც ფირფიტებს აფუჭებს. „პატეფონის“ მექანიზმი იდეალურია. გარეგნულად, შესახედავადაც „პატეფონი“ საუცხოოა. „პატეფონს“ ამ ღირსებათა წყალობით მოლაპარაკე მანქანებში პირველი ადგილი უჭირავს.

მოისმინეთ „პატეფონი“ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით.

მოითხოვეთ 1911 წლის კატალოგი, რომელშიაც ყველა ენებზე 20,000 სიმღერაზე მეტია მოთავსებული.

ფირფიტები: სობინოვისა, კასტორსკისა, ბუხტოიაროვისა, დავიდოვისა, ლაბინსკისა, სიბირიაკოვისა, ქ-ნ ნეჟდანოვისა, მიხაილოვისა, კუზნეცოვა-ბენუასი, პეტროვა-ზვანცევისა, ერმოლენკო-იუჟინისა, პანინისა, ვიალცევისა, პლევიცკაიასი, პიონტკოვსკაიასი და სხვათა; მშვენიერი დუეტები, კვარტეტები, ხოროები, ორკესტრები; ყველაფერი ეს კონკურენციის გარეშეა და კარგადაცაა შესრულებული.

ნამდვილი „პატეფონები“ იყიდება ტფილისში, მხოლოდ ფირმის ერთად-ერთს წარმომადგენელთან კ ა რ ლ შ უ მ ა ნ თ ა ნ; გოლოვინის პროსპექტი, № 10 (2—1213—2)

მადათოვის კუნძული სტამბა „ხ ო რ ა პ ა ნ ი“

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ქურდღელაშვილი.